<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №53, 11.10.2010, მუხ. 339) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს ვიზის გაცემის საკითხის განხილვა – არანაკლებ 20 აშშ დოლარი და არაუმეტეს 500 აშშ დოლარი. საქართველოს ვიზის გაცემის საკითხის განხილვისთვის თანხის ოდენობა და დაჩქარებული მომსახურებისთვის გათვალისწინებული თანხის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით;“.

მუხლი 2.

საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს ვიზის გაცემის საკითხის განხილვისთვის თანხის ოდენობისა და დაჩქარებული მომსახურებისთვის გათვალისწინებული თანხის ოდენობის განისაზღვრამდე მოქმედებს ამ კანონის ამოქმედებამდე კანონით კანსაზღვრული ოდენობა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**